

ლადო პაპაგა: “არსებული კანონმედბლობა უნივერსიტეტს პრობლემებს უქმნის”

გაზეთი “ახალი თაობა” – 9 დეკემბერი, № 291, 2013

რა საფრთხეები და რა ხარვეზები არსებობს უმაღლესი განათლების კუთხით, რატომ შეიძლება დაემთხვეს ნაციონალების და „მეოცნებების“ პოზიცია მეცნიერებათა მიმართებაში და რა საჭიროა მეცნიერებათა აკადემიის ალტერნატივის შექმნა? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან, აკადემიკოს ლადო პაპაგასთან.

– ბატონო ლადო, თქვენ მოხვედით უნივერსიტეტის რექტორად მას შემდეგ, რაც უმძიმესი ბატალიები გამოიარა განათლების ამ კერამ პროფესურის შიმშილობიდან დაწყებული, პოლიციის კორდონებით და ძალადობით დამთავრებული. როგორ აფასებთ, „ქართული ოცნების“ პოკიტიკას განათლების კუთხით? სამართლიანია კრიტიკა, როცა ამბობენ, ქვეყანაში ინსტიტუციები არ მუშაობს, სამინისტროების მუშაობა არ ჩანს და ა.შ.

– აქ რამდენიმე თემაა განსახილვები. პირველი – მართალს ბრძანებოთ, უნივერსიტეტის თავზე გადაიარა რევოლუციურმა ქარტებით და საქმაოდ დაზარალა. მაგრამ, რა ხდება უნივერსიტეტში, ამის მიმართ საზოგადოების ინფორმირებულობა, ხანდახან ზუსტი არ არის. არის გარკვეული სფეროები, რომელიც მართლაც დაზარალდა, მაგრამ ისე არ უნდა ჩავთვალოთ, რომ ყველაფერი მოშლილია. ასე ნამდვილად არ არის. გარკვეულ მიმართულებებით უნივერსიტეტი საკმაოდ წარმატებითაც ფუნქციონირებს. ამის დასტურად არაერთი მაგალითი შემიძლია გითხვათ: ყველაზე მეტმა ახალგაზრდამ, ვინც გრანტი მიიღო 2013 წლის ეროვნული გამოცდებით, მათი არჩევანი იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ახლა ჩატარდა კონკურსი, რომლითაც გაირკვა დოქტორანტები, რომლებმაც მიიღეს სახელმწიფო გრანტები. აქაც ჩვენი უნივერსიტეტი აშკარა ლიდერია.

რაც შეეხება დღევანდელი ხელისუფლების დამოკიდებულებას განათლების მიმართ, ვფიქრობ, დღეს ეს პროცესი ჩამოყალიბების ეტაპზეა. ზედმეტად კრიტიკული არ ვიქნები. ის პერიოდი, გარკვეულად გარდამავალი პერიოდი, როდესაც ორხელისუფლებიანობა იყო, ერთი მხრივ – ქართული ოცნების მთავრობა და საპარლამენტო უმრავლესობა, მეორეს მხრივ – პრეზიდენტი, თავის საპარლამენტო უმცირესობით, რომელსაც ძალიან ძლიერი მხარდაჭერა ჰქონდა დასავლეთიდან, ეს პერიოდი დასრულდა. აქედან გამომდინარე მთავრობას მოუხდება მკაფიოდ განსაზღვროს თავის ხედვა აბსოლუტურად ყველა მიმართულებით, დაწყებული ეკონომიკით და დამთავრებული ნებისმიერი სხვა დარგით იქნება ეს ენერგეტიკული პოლიტიკა, კულტურის პოლიტიკა, თუ

განათლებისა და მეცნიერების პოლიტიკა. ამიტომ, ვფირობ, ამ პერიოდში დიდად საშური საქმე იქნება, თუ მთავრობა პარლამენტთან ერთად ჩამოყალიბდება იმ სტრატეგიაზე, რა სტრატეგიითაც უნდა განვითარდეს საქართველოში განათლებისა და მეცნიერების სისტემა და კონკრეტულად, უმაღლესი განათლების სისტემა.

– განვლილი წელიწადზე მეტი პერიოდი საკმარისი არ იყო იმისათვის, რომ მთავრობის მხრიდან განათლების პოლიტიკის კუთხით მკაფიო ნაბიჯები გამოკვეთილიყო? განათლების რეფორმის მიღწევად მხოლოდ სკოლებში სახელმძღვანელოების უფასოდ დარიგება სახელდება.

– მარტო წიგნები არ დარიგებულა. 17 სპეციალობა მთავრობამ აიღო პრიორიტეტად, რომ დააფინანსოს და არ იყოს უბრალოდ ვაუჩერულ დაფინანსებაზე დამოკიდებული. აქაც არის გარკვეული ხარვეზები და მზად ვარ, ამაზეც ვისაუბრო. მაგრამ მიმართია, რომ უმაღლესი განათლებისთვის ეს პრინციპულად სწორი ნაბიჯია. თუმცა, მარტო ამ ნაბიჯის გადადგმა, საკმარისი არ არის, საჭიროა უფრო მეტი. მოდით, გულწრფელები ვიყოთ: იმ დაძაბულ ვითარებაში, რომელიც იყო გარდამავალ პერიოდში ნაციონალური მთავრობიდან „მეოცნებე“ მთავრობაზე, ამ პერიოდში გარკვეულად პრობლემები იყო ურთიერთბრალდების, თავის მართლების და ამიტომ ამას გარკვეული დრო დასჭირდა. განწყობა საზოგადოებისა, რომ მეტი გაკეთებულიყო, აბსოლუტურად ობიექტურია. მაგრამ, რეალურად გაკეთდა ის, რაც გაკეთდა. ყოველ შემთხვევაში ჩემი დამოკიდებულება ასეთია: რა თქმა უნდა, კრიტიკას ნებისმიერი მთავრობა იმსახურებს იმიტომ, რომ ხალხი ყოველთვის უფრო მეტს ელის, მაგრამ რეალურად იმის თქმა, რომ მთავრობას არაფერი გაუკეთებია, არ იქნება მართალი. თანაც, „მეოცნებე“ მთავრობაც ხომ ერთგვაროვანი არ არის. იყო სამინისტროები, სადაც უფრო მკაფიოდ მიმდინარეობდა გარკვეული დონისმიებები და იყო შედარებით პასიური სამინისტროები. მაგალითად, რომ ვთქვათ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს არაფერი გაუკეთებიაო, მართალი არ იქნება...

– ხელისუფლებისთვის განათლება პრიორიტეტულია? „ქართულ აკადემიის“ შეფასებით, წინა ხელისუფლებამ მეცნიერებას სამარე გაუთხარა, ამ ხელისუფლებამ კი მიწა მიაყარა.

– მოდით ვთქვათ, „ქართული ოცნება“, როგორც პოლიტიკური პარტია, ჩამოყალიბების ეტაპზეა. ეს შეიძლება ჩამოყალიბდეს საკამოდ ძლიერ პარტიად, შეიძლება საერთოდაც არ შედგეს. როცა პარტია ერთი პიროვნების გარშემო ყალიბდება, თავიდან ადვილია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პარტიაა. „ქართული ოცნება“ ბიძინა ივანიშვილის გარშემო ცამოყალიბდა. მაგრამ ივანიშვილის პოლიტიკიდან გასვლამ, „ოცნების“ პოლიტელიტა, სერიოზული გამოწვევის წინაშე დააყენა ანუ მათ უკვე აღარ აქვთ მიბმა ერთ, გამორჩეულ პიროვნებაზე. თუ ისინი პარტიად ჩამოყალიბებიან, ქვეყნისთვის კარგი იქნება, რომ ანგარიშგასაწევი პოლიტიკური ძალა გამოუჩნდეს ჰყავდეს. რადგან „ოცნება“ პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბების პროცესშია, ბუნებრივია, მთელ რიგ საკითხებზე ერთნაირი ხედვა არ აქვთ. მაგრამ მე რომ ვთქვა, არის თუ არა პრიორიტეტული ხელისუფლებისთვის განათლება და მეცნიერება, გმტყვით, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი სახისთვის – აკადემიკოს ვანო კილურაძისთვის, რა თქმა უნდა,

პრიორიტეტულია! ძალიან გაგვიმართლა მთელ საქართველოს, პარლამენტში რომ გვყავს აკადემიკოსი ვანო კილურაძე, ამ საქმის წინამდღოლი. მაგრამ აქვს თუ არა კილუირაძეს სრული მხარდაჭერა, თუნდაც საკუთარ პარტიაში, ამაზე თვითონ ბატონმა ვანომ უნდა ისაუბროს.

– კილურაძემ უკვე თქვა, რომ განათლებაში ლომაიას კურსი გრძელდება...

– მე ასე ვიტყოდი: საფრთხე, რომ ეს კურსი გაგძელდეს, არსებობს. თუმცა, არაერთი საქმიანი შეხვედრა მქონდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრ, ქნ თამარ სანიკიძესთან, მის მოადგილეებთან და ვთვლი, რომ ეს ურთიერთობა საქმაოდ კონსტრუქციულია. მე, პირადად, არ გავჩერდები, თუ ეს საფრთხე რეალობად იქცა. მაგალითად, პირველი, რითაც საზოგადოებამ გაიგო ჩემი ხმა რექტორის რანგში, ეს შეეხებოდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ქონებას, როდესაც კვლავ წამოტივტივდა სწორედ ნაციონალების მიდგომა ინსტიტუტების ქონების გაყიდვასთან დაკავშირებით. როცა ვიძახი ინსტიტუტების ქონება, ჯერ ეს ქონებაც პირობითია. ინსტიტუტებს ქონება არ აქვთ, ფორმალურად ეს ქონება დღეს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს განკარგვაშია. საუბარია იმაზე, რომ ეს ქონება იმ უმაღლეს სახწავლებლებს გადმოეცეთ, სადაც ეს ინსტიტუტები არიან. ჩვენს შემთხვევაში არის მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი 14 ინსტიტუტი. თუ ამ ინსტიტუტების ქონებას გადმოგვცემენ, ეს ქონება ისევ ამ ინსტიტუტების იქნება. როგორც კი უნივერსიტეტს მოგვეცემა საშუალება, რომ ინსტიტუტები ჩამოვაყალიბოთ საჯარო სამართლის იურიდულ პირებად, მათ ამ ქონებას გადავცემთ. სამწუხაროდ, არასასურველი ქმედებები დაწყებულია, ზოგიერთ ინსტიტუტში შევიდნენ პირები, რომლებიც აცხადებდნენ, რომ სამინისტროს წარმომადგენლები იყვნენ და ა.შ. ეს ხდებოდა იმ მიმართვამდე, რომელიც მთავრობის სახელზე გავაკეთე. თუმცა ამის შემდეგაც გვაქვს მსგავსი პრცედენტები.

– მთავრობის სახელზე გაკეთებული განცხადების შემდგომ მხოლოდ ეპონომიკის სამინისტრო გამოგეხმაურათ?

– დიახ, მაგრამ ამის შემდგომაც გაგრძელდა მსგავსი ქმედებები. კერძოდ, მინდელის № 11-ში განთავსებულია რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტში, სანამ მას უნივერსიტეტს შემოუერთდებოდნენ, შეასახლეს ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი, რომელსაც შესანიშნავი შენობა ჰქონდა ვაკის პარკთან. სამწუხაროდ, ნაციონალურმა მთავრობამ ამ შენობის პრივატიზაცია ისე გააკეთა, რომ არავისთვის არაფერი უკითხავს. როცა ინსტიტუტი ჰაერში დარჩა, ის შეასახლეს რაფიელ აგლაძის სახელობის ქიმიის ინსტიტუტში. დღეს მინდელის № 11-ში ორი ინსტიტუტია. ამ ინსტიტუტების უგან არის მიწის ნაკვეთი. ამ ორივე ინსტიტუტის დორექტორებმა მოგვწერეს წერილები, რომ მათ ეს ნაკვეთები სჭირდებათ, მაგრამ არც მათ ჰქითხა ვინმებ და არც უნივერსიტეტს, რადგან ეს ნაკვეთი ჯერ ჩვენზე არ არის გადმოცემული. დადგა საკითხი ამ ნაკვეთის პრივატიზაციის შესახებ. თუ ეს ტენდენცია გაგრძელდება, მაშინ, სამწუხაროდ, მაშინ ბატონი კილურაძე მართალი იქნება.

პრივატიზაციის საფრთხე და ემუქრა პიდრომეტეოროლოგიის სასწავლო-სამეცნიერო და ბორაცორიას. უნივერსიტეტი მადლობელია გარემოს დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის, რომელმაც ამ საკითხის გადაწყვეტაში ოფიციალურად დაუჭირა მხარი უნივერსიტეტი!

იმედს ვიტოვებ, რომ არის გარკვეული პოლიტიკური რესურსი და ნება, რომ „ქართული ოცნება“ არამხოლოდ აკრიტიკებდეს ნაცმობრაობას, არამედ საქმითაც განსხვავებული იყოს. მე, პირადად, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ქვეყანაში ვითარება თვისებრივად შეიცვალა. ასე რომ არ იყოს, ვერც ვიფიქრებდი, რომ უნივერსიტეტის რექტორის არჩევნებში მეყარა კენჭი. მიმაჩნია, რომ ჩემი რექტორობა არის იმ თავისუფლების სიოს შედეგი, რომელმაც დაუბერა საქართველოში „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ.

– ბატონო ლადო, რა პრობლემები აქვს უნივერსიტეტს, რამდენად გიშლით ხელს კანონმდებლობა?

– ბევრი პრობლემაა, მათ შორის, კანონმდებლობასთან, თუ დაფინანსებასთან. დავიწყოთ კანონმდებლობით. დღეს უნივერსიტეტს ბევრი რამის გაკეთება რომც უნდოდეს, კანონი საშუალებას არ აძლევს. რამდენიმე წელიწადია უნივერსიტეტს უნდა წიგნების მადაზის გახსნა. ჩვენ გვაქვს გამომცემლობა, ვბეჭდავთ წიგნებს და ეს წიგნები, პირველ რიგში, უნივერსიტეტში უნდა გავყიდოთ. წიგნების მადაზია მსოფლიოს ყველა უნივერსიტეტშია. განათლებისა და ეკონომიკის სამინისტროებიდან ნებართვების აღებაში რამდენიმე თვე დაგჭირდა. ახლა გამოვაცხადეთ აუქციონი, რომელიმე ფირმა რომ შემოვიდეს და ჩვენი წიგნების გაყიდვა დაიწყოს. მოუქნელი კანონმდებლობის გამო, ეს პროცესი დროში აშკარად გაწელილი აღომჩნდა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში უკვე რამდენმე თვეა მიმდინარეობს საკანონმდებლო ინიციატივის განხილვა, რომლითაც სახელმწიფო უნივერსიტეტებს უნდა მიენიჭოს სპეციალური საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი, რის შემდეგაც ხსენებული პროცედურები გამარტივდება.

– რაც შეეხბა დაფინანსების საკითხს, ამ მხრივ რა პრობლემები გაქვთ?

– დაფინანსებაში სერიოზული პრობლემა გვაქვს. იცით, რომ თსუ-ს დაფინანსების ძირითადი წყაროა სტუდენტის მიერ მოტანილი ფული. ეს არის ან ვაუჩერი, ან მისი ოჯახიდან გადახდილი ფული – 2250 ლარი. დაწესებული გვაქვს სტუდენტების ზედა ზღვარი, სადღაც 22 000 სტუდენტამდე. ამ ზღვარზე გასულები ვართ ანუ მეტს ვეღად მივიღებთ, შესაბამისად ჩვენი დაფინანსება ვეღარ გაიზრდება. ახლა ამ 2250 ლარის რაციონალურ გამოყენებაზეა საუბარი. მაგრამ არის მთელი რიგი საკითხები, რომელიც მოითხოვს ოპერატიულ გადაწყვეტას, ამას კი ფული სჭირდება. ბაზური დაფინანსების საკითხი არ არსებობს. კემბრიჯის უნივერსიტეტიდან ჩამოყანილი გვყავდა ექსპერტი, რომელიც აღმინისტრაციულ რეფორმაში გვეხმარება. პირველ შენიშვნად მან თავის დასკვნაში დაწერა: უნივერსიტეტს მხოლოდ სტუდენტების მიერ მოტანილი ფულით სტაბილური განვითარების პერსპექტივა არ აქვს, ანუ საჭიროა ბაზური დაფინანსება. ახლა,

რაც შეეხება ბაზური დაფინანსების საკითხს: ჯერ კიდევ მინისტრობის დროს პნემა გიორგი მარგვალაშვილმა 17 სპეციალობა ცნო პრიორიტეტულიდ და აქ სახელმწიფო დაფინანსება არის გარანტირებული. ამ 17-დან 13 ჩვენს უნივერსიტეტს შეეხო. მართალია, ჩვენ ეს ფული ჯერ არ მიგვიღია, მაგრამ აქაც არის პრობლემები. აქაც ჩაიდო უცნაური რეგულაციები, მაგალითად, ამ ფულის გამოყენება არ შეგვიძლია პროფესორ-მასწავლებლების ხელფასის გასაცემად. ამიტომ მივმართე ფინანსთა მინისტრს და ვიმედოვნებ, ეს საკითხიც გადაწყდება. თუმცა აქაც არის პრობლემები, რადგანაც ეს თანხაც სტუდენტების რაოდენობაზეა მიბმული. კერძოდ, თსუ-ს ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ბაზური დაფინანსება გადაწყდა შემდეგი სქემით: 100 სტუდენტი მატემატიკაზე, 100 – ფიზიკაზე, 100 – ქიმიზე, 100 – ბიოლოგიზე. წელს ამ ოთხი მიმართულებიდან, მხოლოდ სამმა შეძლო ას-ასი სტუდენტის აყვანა, ხოლო ფიზიკაში მოვიდა მხოლოდ 80 სტუდენტი. ლიმიტიდან ფულს მხოლოდ 380 სტუდენტზე მივიღებთ. თუ რომელიმე სტუდენტი წავიდა ჩვენგან, ბუნებრივია, ამ ფულსაც წაიღებს. ასე, რომ ეს სქემა მანიც არ არის ბაზური დაფინანსება. გარდა ამისა, თვითონ ამ სისტემაშიც არის გარკვეული ხარვეზი. სულ ცოტა 3 მიმართულება იკვეთება, რომელიც ასევე საჭიროებს დამატებას, გამორჩენილია ამ 17-დან. ეს არის გეოგრაფია, გეოლოგია და ეთნოლოგია...

– რას იტყოდით პროექტზე სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის შესახებ?

– როგორც ეტყობა, მთავრობა ჯერჯერობით სამეცნიერო ინსტიტუტების ბედოან დაკავშირებით ბოლომდე ჩამოყალიბებული არ არის. რამდენჯერმე გაიღერა იდეამ, რომ უნდა შეიქმნას „სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრი“, მაგრამ ის პროექტები, რომელიც მომზადდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, როგორც ე.წ. „შავი“ მასალა (თუმცა შემდეგ სხვადასხვა მექანიზმებით აღმოჩნდა საჯარო), აშკარად მიღებელია. ეს არის პრაქტიკულად გამეორება მეცნიერებათა აკადემიის, თანაც ცუდი ვარიანტით.

შორენა კოწოწაშვილი